

T

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

2016 წლის 21 ივნისის სხდომის

ოქმი № 30

ქ.მცხეთა. 14. 00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - გოჩა ლაბაური, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები.

**დღის წესრიგი:**

საკითხი: 1. მოქ. რომან არმეგონაშვილის (პირადი № 31001003061) განცხადება (№247 07.06.16წ.) მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის კორპუსებში მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ( ს/კ 72.10.03.007.01/007.) დამისამართების შესახებ.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

საკითხი:2. „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელის (სოფ.ახალუბნის მხარეს) ტერიტორიაზე შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.33.246.) ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 17 ივნისის #5069 მომართვით წარმოდგენილი პროექტი განხილვა.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

**მოისმინეს პირველი საკითხი :**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოქ. რომან არმეგონაშვილს (პირადი № 31001003061) სოფ. ციხისძირის კორპუსებში საკუთრებაში ერიცხება უძრავი ქონება, 57მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ფართი (ს/კ 72. 10.03.007.01/007) და ითხოვს მათ დამისამართებას. კომისიის დასკვნით მოქ. რომან არმეგონაშვილის უძრავი ქონება მდებარეობს სოფ. ციხისძირში მდებარე №6 კორპუსში, „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსებში ბინების ნუმერაციის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2009 წლის 16 იანვრის №4 განკარგულების, ციხისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ცნობისა (№ 49 07.06.16წ.) და „დამისამართების კონცეფციის“ საფუძველზე, კომისიამ დაადგინა მოქ. რომან არმეგონაშვილის (პირადი № 31001003061) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ72. 10.03.007.01/007.) მისამართი:

მცხეთა, სოფ. ციხისძირი, კორპუსი №6, სადარბაზო №1, სართული №3, ბინა № 7,

ნაცვლად ძველი მისამართისა: მცხეთა, ციხისძირის დასახლება, კორპუსი №7, ბინა № 7.

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი მოქ. რომან არმეგონაშვილის (პირადი № 31001003061) უძრავი ქონების ( ს/კ 72. 10.03.007.01/007.) დამისამართების შესახებ, შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

**მოისმინეს მეორე საკითხი:**

დასკვნა: შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“-ის დირექტორის გიორგი ქსოვრელის განცხადების საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვით (№5069 17.06.16წ.) დასამტკიცებლად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელის ( სოფ. ახალუნის მხარეს) ტერიტორიაზე შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ( ს/კ 72.03.33.246.) ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი მასალები: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის სამსახურის განმარტებითი ბარათი, შეთანხმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომელმაც მისაღებად ჩათვალა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და გეგმარებითი დავალების პროექტი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

კომისიამ გადაწყვიტა: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარე: გოჩა ლაბაური

წევრები: დავით ჯალაბაძე

დავით შაპიაშვილი

მალხაზ ნოზაძე

გალინა ახსაბაძე

თეიმურაზ მირესაშვილი

თამაზ ფოლოდაშვილი

თამაზ მომდვრიშვილი